სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080129835031217

 # 134 **11 / იანვარი / 2017 წ.**

კასპის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2017 წლის 9 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა კასპის მუნიციპალიტეტის SMP170000062 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, 2016 წლის 30 დეკემბერს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, განახორციელა უმწეო მოქალაქეთა (სულ 80 ბენეფიციარი) უფასო კვებით მომსახურების გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით - 2638,5 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო მოქალაქეების (80 ბენეფიციარი) უფასო კვებით უზრუნველსაყოფად საჭირო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2016 წლის პირველ დეკემბერს გამოცხადდა SPA160029614 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რომლის ფარგლებშიც დისკვალიფიკაცია მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, ხოლო მეორე პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დასაზუსტებლად განესაზღვრა ვადა 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, ვინაიდან სატენდერო პროცედურები ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ხელშეკრულების გაფორმება 2017 წლის პირველ იანვრამდე ვერ მოესწრო, აუცილებელი გახდა შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2017 წლის პირველი იანვრიდან საკვების გარეშე დარჩებოდა კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 80 უმწეო მოქალაქე.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო მოქალაქეების (80 ბენეფიციარი) უფასო კვებით უზრუნველსაყოფად საჭირო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2016 წლის პირველ დეკემბერს გამოცხადდა SPA160029614 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რომლის ფარგლებშიც დისკვალიფიკაცია მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, ხოლო მეორე პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დასაზუსტებლად განესაზღვრა ვადა 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, ვინაიდან სატენდერო პროცედურები ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ხელშეკრულების გაფორმება 2017 წლის პირველ იანვრამდე ვერ მოესწრო, აუცილებელი გახდა შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო უფასო კვებით უზრუნველსაყოფად საჭირო მომსახურების შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესყიდვის დაყოვნება გამოიწვევდა, 2017 წლის პირველი იანვრიდან, კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 80 უმწეო მოქალაქის უფასო საკვების გარეშე დარჩენას, რაც ზიანს მიაყენებდა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი კასპის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე